ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 176 სამშაბათი, თებერვლის 20 (5) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. ოდიშელიძე-ქუჩა „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირდება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელში არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები [illegible].

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალის ქ., ხოჯაშვილის ს. № 8.

[illegible] წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ტელეფონი 12-29

სახალხო კომისრების მთავრობამ ზავი შეკრა და დაუთმო ოსმალეთს ბათუმისა და ყარსის ოლქები

საქართველო გაყიდეს!

ქართველო ხალხო, ხმა ამოიღე!

ომი და საქართველოს გაყიდვა

ბრესტ-ლიტოვსკიდან რადიოთი ასეთი დეპეშა მოვიდა: „შედარებით 21 თებერვლის (ახ. სტ.) ულტიმატუმთან ახალ პირობებს აქვს საულტიმატუმო ვადის ხასიათი. ამ მიზეზის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანელები უარობენ ხელშეკრულების ხელის მოწერამდე შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება, ჩვენ გადავსწყვიტეთ ხელი მოვაწეროთ იმ ხელშეკრულებას, რომელზედაც ეხლა ზეობა სწარმოებს, ხელისმოწერის შემდეგ გამოვბრუნდეთ ამიტომ ხვალისთვის მატარებელი მოვითხოვეთ. ყველაზე სერიოზულ კამათს იწვევს 21 თებერვლის პირობები და რუსეთიდან ჩამოშორება არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქებისა თვით[illegible] დელეგაციის მდივანი კარახანი“.

შაბათს, 17 თებერვალს, სალამოთი ამიერკავკასიის კომისარიატმა, რა მიიღო ეს დეპეშა, სასწრაფოდ მოიწვია სეიმის პრეზიდიუმი და ყველა ფრაქციის წარმომადგენელი და მათთან ერთად გამართა თათბირი. შედეგად თათბირისა ევროპის ყველას ხელმწიფოს და დაინტერესებულ მთავრობებს დაეგზავნა ასეთი დეპეშა: „ბათომის ციხის კომენდანტს რადიოთი გადასაცემად. გადაეცეს ეკატერინოდარში სამხედრო ალმოსავლეთ მთავრობას, პეტროგრადში სოკოლნიკოვს, ბრესტ ლიტოვსკში საზავო კონფერენციას, სტამბოლში საგარეო საქმეთა მინისტრს, ბერლინს, ვენას, ლონდონს, პარიზს, ვაშინგტონს, რომს და ტოკიოში საგარეო საქმეთა მინისტრებს, კიევში ცენტრალურ რადას და გენერალ ოდიშელიძეს ოსმალოს ჯარის მთავარსარდალისადმი გადასაცემად. ამიერკავკასიის მთავრობა, თანხმად სეიმის გადაწყვეტილებისა, ყოველგვარ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას ეხება და მის საზღვრებს და რომელიც დადებულია იმის დაუკითხავად და დაუდასტურებლივ, სთვლის საერთაშორისო მნიშვნელობას მოკლებულად და მისთვის სავალდებულო ხასიათი არა აქვს, ამასთანავე კომისარიატი გაცნობებთ, რომ ამიერკავკასიის სეიმმა უკვე აირჩია საზავო დელეგაცია, რომელიც მზად არის ტრაპიზონში გაემგზავროს, თანახმად ოსმალეთთან წინასწარ მოლაპარაკებისა, რათა შეჰკრას მასთან საბოლოო ზავი. სეიმის თავმჯდომარე ჩხეიძე. თავმჯდომარე ამიერკავკასიის მთავრობისა გეგეჭკორი“.

კვირას, 18 თებერვალს, სალამოს 10 საათზე სეიმის არაჩვეულებრივ სხდომაზე ამიერკავკასიის მთავრობის წარმომადგენელმა ევგ. გეგეჭკორმა მოახსენა სეიმს ამ მნიშვნელოვან და საქართველოსთვის საბედისწერო დეპეშების ტექსტი. სეიმმა ერთხმად მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი.

გარდა ამ ზომისა, ამიერკავკასიის მთავრობამ აგრეთვე რადიოთი წინადადება მისცა ბათომის ციხის კომენდანტს რადიოთი სთხოვოს ოსმალოს ჯარის მთავარსარდალს [illegible] დაუჩქარონ პასუხი კომისარიატის დეპეშაზე, რომელიც გაიგზავნა 11 თებერვალს. ამაზე ბათომის კომენდანტი იუწყება, რომ ტრაპიზონთან კავშირი არ არის, რადგან იქ რადიოს სადგური არ არსებობს. მხოლოდ ზომები იქმნა მიღებული კომისარიატის განკარგულების ასასრულებლად და პასუხი მეორე დღისთვის იქნებაო.

სეიმმა მთავრობის ეს ნაბიჯიც მოიწონა.

საქარ. ეროვნულ საბჭოს დადგენილება

ბოლშევიკების ზავის გამო.

გუშინ თებერვლის 19 საგანგებო კრება ჰქონდა ეროვნულ საბჭოს და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მილიტარულ და ფინანსიურ ძალების მობილიზაციას ბათუმის ოლქის დასაცავად, რომელიც ბოლშევიკურმა ზავმა უკანონოდ საქართველოს ტერიტორიას ჩამოჰგლიჯა. როგორც ბათუმის, ისე ყარსის ოლქის დასაცავად. საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის პირდაპირი კონტაქტის დაჭერას სხვა ამიერკავკასიელ ერთა საბჭოებთან და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღებას.

საქართველოს სოც.-ფედ. სარევ. პარტიის მთავარი კომიტეტი

კვირას თებერვლის 18-ხა საქ. სოც.-ფედ. მთავარ კომიტეტს საგანგებო სხდომა ჰქონდა ბოლშევიკების მთავრობის და ოსმალეთის ზავის შესახებ. სხდომას დაესწრნენ საგუბერნიო და ტფ. კომიტეტის წევრებიც. სხდომის გაგრძელება მოხდა გუშინ სალამოს. მთავარმა კომიტეტმა სასწრაფო დეპეშით აცნობა პროვინციის ორგანიზაციებს ბათუმის ოლქის ამბავი და სთხოვა ამხანაგებს მოახდინონ მთელი ძალღონის მობილიზაცია და მზად იყვნენ სამშობლოს დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

რკინის გზების ქართველ მოსამსახურეთა დადგენილება

კავკასიის და კახეთის რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეთა კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზე გაიგო რა საშინელი ამბავი ბოლშევიკების მიერ ზავის შეკვრის შესახებ ამიერკავკასიის საზღვრებში, რომლითაც ბათომის, არდაგანის და ყარსის ოლქები დაეთმო ოსმალეთს—ღრმა აღშფოთებით აცხადებს თვის პროტესტს და მოითხოვს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ, რომელმაც დიდად ავნო ზავის სასურველად გადაწყვეტას კავკასიის სეიმმა მაინც გადასდგას გაბედული ნაბიჯი, არ სცნოს ეს ხელ-შეკრულება კანონიერად, როგორც ამიერკავკასიისათვის აგრეთვე საქართველოსათვის და შეუდგეს ხელ-ახლად ოსმალეთთან მოლაპარაკებას დამოუკიდებელ ამიერკავკასიის სახელით, მით უმეტეს, რომ იგი ფაქტიურად დიდი ხანია ჩამოშორებულია რუსეთსა და მის სახალხო კომისრების მთავრობას.

1918 წ. თებერვლის 18.

ტფილისი, 18 თებერვალი 1918 წ.

გაყიდული საქართველო. დეპეშამ თავზარდამცემი ამბავი მოიტანა—ბოლშევიკებს ბათომის ოლქი ქალაქ ბათომით და ყარსის ოლქი ოსმალეთისთვის დაუთმიათ. ბოლშევიკებმა დალუპეს რუსეთი და ეხლა საქართველოსაც ჰყიდიან, ჰყიდიან ისე, რომ თვით ქართველ ხალხს არაფერსა ჰკითხავენ. საქართველოს საუკეთესო კუთხეს, საქართველოს კარებს, ბათომს, ოსმალეთს აძლევენ და ჩვენც არც კი გვეკითხებიან, თითქოს საქართველოში ხალხი კი არა სცხოვრობდეს, არამედ სულ-გული თოჯინები, რომელთაც საითკენაც ჰსურთ, იქითკენ უკრავენ თავსა. ბოლშევიკებმა გაჰყიდეს საქართველო, მაგრამ როგორ მოხდა ასე წარმოუდგენლად რომ ათამაშებენ ჩვენს ბედს გადამთიელი პოლიტიკოსები? როგორ მოხდა, ასე რომ დაგვცინიან და მასხარად გვიგდებენ? მოხდა ყოველივე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში არასოდეს არა ყოფილა ეროვნული თავმოყვარეობა, არასოდეს არა ყოფილა სურვილი სამშობლოს დაცვისა. ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობა გამოიფიტა, ეროვნული დროშა შეიგინა. დიდი ხანია ქართველ ხალხს ჩასჩიჩინებდნენ, დამოუკიდებელი ცხოვრება შენ არ შეგიძლიან, თავზე უსათუოდ ბატონი უნდა გაჯდეს, დიდი ხანია ქართველ ხალხს დაუკარგეს რწმენა თავისი საკუთარი ძალ-ღონისა. დიდი ხანია ქართველ ხალხს დაუკარგეს სამშობლო და აი, დღეს, როდესაც სამშობლო გაგვიყიდეს, როდესაც უსირცხვილოდ და უნამუსოდ ერს თავისი უფლება ზედ გადააფხრიწეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა საჯარო ვაჭრობაზე გამოიტანეს, რა შეგვიძლიან დავუპირისპიროთ ამ უმაგალითო პოლიტიკურ ყაჩაღობას? მხოლოდ მწვავე გრძნობა უიმედობისა და უსაზღვრო ტანჯვა [illegible] ადამიანისა. სად არის ის სიტყვა, რომელსაც შეუძლიან ცოცხლათ აანთოს შეურაცყოფილი მამულიშვილის სული და გული ეს სიტყვა საერთო ეროვნული გულგრილობის ზღვაში იკარგება. სად არის ის საქმე, რომელსაც შეუძლიან სამოქმედოდ გამოიყვანოს ქართველი ხალხი, როგორც დამცველი მანდილ-ახდილი სამშობლოსი? ეს საქმე მენშევიკების ათეული წლობის ბარბაროსულმა პოლიტიკამ ჩაჰკლა და გაანადგურა. სოციალ-დემოკრატებმა ქართველი ხალხის გულში მოჰკლეს სამშობლო და დღეს, როდესაც ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყანა ოსმალეთს მიჰყიდეს, როდესაც ზურგიდან მახვილი ჩაგვცეს, ვაი თუ სამშობლოს დამცველი აღარ გამოუჩნდეს, ვაი თუ ქართველმა ხალხმა, სამშობლოს მოკლებულმა, თავის საკუთარ ქვეყანას თითონ გამოჭრას ყელი! ბათომი ბოლშევიკებმა ოსმალეთს მიჰყიდეს. ნუ თუ ამის შემდეგაც კი ჩვენ იძულებული გავხდებით სოციალ-დემოკრატების ლათაიებით ვიკვებოთ და მთელი ჩვენი ქვეყანა ზვარაკად შევსწიროთ იმ დამღუპველ პოლიტიკას, რომლითაც დღემდის აწარმოებდნენ სოციალ-დემოკრატები და დღესაც აწარმოებენ? ნუ თუ დღესაც რომელსაც ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს მარჯვნით და მარცხნით ანიავებენ ჩვენსავე დასათხოვად ვიღაც პოლიტიკური გაიძვერა-გამომძალველები, აშკარად და [illegible] ხოლო მთელ ქვეყანას: „კმარა ამდენი მასხარად აგდება, კმარა ამდენი აბუჩად აგდება ქართველი ხალხისა!“ ან მოვიპოვოთ თავისუფლება ან გავსწყდეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. არც ერთს ერს თავისუფლება უბრძოლველად არ მოუპოვებია. არც ერთს ერისთვის არავის არაფერი ანგარიში არ გაუწევია, თუ თვით ერს არ გამოუჩენია სურვილი თავისუფლებისა. და თუ ქართველ ხალხს ამის შეგნება დაკარგული აქვს, იგი ბათომის დაკარგვასაც შეურიგდება და მთელ საქართველოს [illegible].

თუ გვინდა ეს ასე არ მოხდეს, უნდა უკანასკნელი ძალა გამოვიჩინოთ და მოვაწყოთ ეროვნული თავდაცვის საქმე. საქართველო არასოდეს არა ყოფილა ასეთი განსაცდელის წინაშე და თუ ეხლაც ვერაფერს გავხდით, თუ ეხლაც ვერ განვიცადეთ მთელი სიმწვავე მდგომარეობისა, საქართველო დაღუპული ყოფილა.

საქართველო გაყიდეს!

მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, რაც აუცილებელი შედეგი იყო ჩვენი ცხოვრების ხელმძღვანელთა პოლიტიკისა!

რუსეთის რევოლუცია რუსის მენშევიკებმა ს.-რევოლუციონერებთან ერთად უფსკრულის კარს მიიყვანეს, ნადავლ მოუმზადეს ანარქიის წარმოშობას, რუსეთის დარღვევას, გერმანიის კოლონიად გადაქცევას. ასევე დალუპეს ჩვენი ქვეყანა ჩვენებურმა მენშევიკებმა და თავის ანტინაციონალური მოღვაწეობით, ორპირობით, გაურკვევლობით და შემოქმედების უძლურებით შეჰქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ პეტერბურგის ბოლშევიკებმა, სოციალისტურ ქურქში გამოხვეულმა ჯალათებმა ოსმალეთის მოძალადეებს მიყიდეს საქართველოს თვალი—ბათუმის მხარე, კარი დაუხშეს სამუდამოდ ჩვენი ერის განვითარებას, სამშობლოს იანიჩრების სათარეშოდ გადააქციეს ჩვენი მამული—თავისუფლების სავანე, ამდენი მსხვერპლის სისხლით მორწყული, ამდენი გმირის და მებრძოლის მკლავით გამშვენიერებული!..

ნუ თუ ეს ყველაფერი თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და ქართველი ერი მტკიცედ დარაზმული, შეიარაღებული, ვით ერთი ადამიანი არ უნდა დახვედროდა მტერს? ყოველი ჩვენი მოწოდება, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ჯარის შედგენა, მხოლოდ საპროვოკაციო იარაღი იყო ჩვენი მენშევიკებისათვის [illegible] და შხამის დასანთხევად, ანარქიის და საკუთარი თავის სიძულვილის დასათესად ქართველ ხალხში. როდესაც ვამბობდით, რომ დროა ქართველმა ხალხმა თვითონ იკისროს თავის პატრონობა და ნურღარ ელოდება გარეშეების დახმარებას, ეს იმის მასალად გამოიყენეს, რომ რუსები, განსაკუთრებით ჯ. კაცები ჩვენს წინააღმდეგ აამხედრეს, აი რუსეთისაგან ჩამოშორებას ქადაგობენო. ჩვენს გამწარებულ ხმას —რომ სამშობლო და მშობელი ხალხი [illegible]—ისინი [illegible]ბდნენ, რომ ეს კონტრრევოლუცია და რეაქციონერობა არისო!..

როდესაც ამიერკავკასია ფაქტიურად მოსწყდა რუსეთს და საკუთარი ძალების ამარა დარჩა, მოსალოდნელი იყო, რომ ეხლა მაინც გამოფხიზლდებოდნენ ჩვენი მენშევიკები, ეხლა მაინც დაინახავდნენ საფრთხეს და შეჰქმნიდნენ საამისო ორგანიზაციას, საამისო ძალას, მიიღებდნენ სათანადო ზომებს. მაგრამ პირიქით უფრო გაძლიერდა ზნეობრივი გახრწნა და ათასგვარ წყლულისა და გაჭირვებისათვის იმის მეტი ვერა გამონახეს, რომ ხალხს აწუწუნებდნენ: როცა იქნება დამფუძნებელი კრება შეიკრიბება და პეტერბურგიდან მოგვივა წამალი ყოველი უბედურებისათვისო!

რუსეთი ერთიან დაიშალა, დაიწვა და ვისაც კი შეეძლო, თავისთავს მიხედა. ბოლშევიკების მთავრობამ ქედი მოიხარა გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე და დაუწყო ვედრება, როგორმე გამირიგდით, რაც გინდა წაიღეთო. ამ დროს ოსმალეთმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის კომისარიატს (იმავე მენშევიკების საოლქო კომიტეტს), დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკება გაემართათ. მენშევიკებმა, იმის მაგიერ რომ სიხარულით მიეგებებოდნენ ამას, და კანონებით ფაქტიური დამოუკიდებლობა, შეეკრათ ზავი, რომელიც მაშინ ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა, მით დავიცავდით ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ძირშივე ჩავკლავდით ყოველგვარ ანარქიას,—ამის მაგიერ იუკადრისეს კიდეც ოსმალეთის წინადადება ჩვენ რუსეთთან უნდა მოვკვდეთ, ჩვენ პეტერბურგიდან ველით ბრძანებას, უმისოთ არა შეგვიძლია რაო...

ამის ნაყოფი დღეს ჩვენს წინაშე არის. ჩვენი მენშევიკები პეტერბურგიდან ელოდნენ და მიიღეს კიდეც: პეტერბურგის ბოლშევიკებმა ოსმალეთს მიყიდეს საქართველოს თავისუფლება, რომ ამით შეინარჩუნონ თავისი ხელმწიფობა, რომ თვითონ იმეფონ დანარჩენ საქართველოში და თვითონ თუ არა, საჯიჯგნად დაუტოვონ ჩვენი მშობლიური ქვეყანა რუსეთის რეაქციას, რომელსაც ჩვენი მენშევიკები თავისი [illegible] წითელი რაზმებით, რასაკვირველია, ვერასოდეს გაუმკლავდებიან!

ნუ თუ, ქართველო ხალხო, ჩაკვდა შენში ყოველი ღირსების გრძნობა და შენი ასეთი გაწირვის ჟამს ხმას არ ამოიღებ? ნუ თუ ეს იყო ქართველი ხალხის ამდენი წლის ოცნება? ნუ თუ იმისთვის იბრძოდი რევოლუციისთვის, იმისთვის ჩამოაგდე ნიკოლოზ რომანოვი, რომ კისერზე დაიდგა ოსმალეთის მტარვალების კიოთები? ნუ თუ ამისთვის მიდიოდით ქართველო რევოლუციონერები სახრჩობელაზე, ამისთვის დაილპეთ თქვენი სიცოცხლე ციმბირის [illegible]ში?..

საქართველო გაყიდეს, საქართველო მონად და სიკვდილად [illegible] იმას, ვინც არ [illegible] დღეს და თავს არ [illegible] სამშობლოს [illegible].

ეროვნული საბჭო

განათლების სექციაში. სამშაბათს, 22 თებერვალს, სალამოს სრულ 5 საათზე ეროვნული საბჭოს დარბაზში დანიშნულია ტფილისში არსებულ ყველა დარგის საპროფესიო ქალთა და ვაჟთა სკოლების მასწავლებელთა კრება.

ეროვნული საბჭოს განათლების სექცია დაჟინებით სთხოვს [illegible], ხელოვნების და სხვა საპროფესიო სკოლების ქართველ მასწავლებლებს აუცილებლად დაესწრონ ხსენებულ კრებას.

სახალხო მეურნეობის სექციის სხდომა დანიშნულია დღეს, სალამოს 6 საათზე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში. სექციის მმართველობა სთხოვს წევრებს სხდომაზე უეჭველად გამოცხადდნენ და არც დაიგვიანონ.

ჩვენ, სოფ. საგარეჯოდან ჩამოსულმა რაზმელებმა, [illegible] შევკრიბეთ ჩვენ შორის წვლილი 74 მანეთი 10 კ. და ამ წვლილს ვწირავთ ეროვნულ საბჭოს გზით „სახალხო საქმის“ საშუალებით. ამხანაგების მონდობილობით ნიკა ლაფაჩი.

ომი თუ ზავი

ბრესტ-ლიტოვსკი 17 თებერვალი. პეტროგრადში, სახალხო კომისრების საბჭოს. გუშინ რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის უარს ამბობს საზავო პირობების განხილვაზე, იმის გამო, რომ სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ განახლდა. მოულოდნელად საზავო კონფერენციის მუშაობის განახლებისა, [illegible] და [illegible] უპასუხოდ იქნა. ახალ პირობებში საზავო ხელშეკრულებას [illegible] ულტიმატუმის, რომელიც ახლავს გერმანიის შეიარაღებული ძალ-ღონით. რუსეთის დელეგაცია ხელს აწერს ნაკარნახევ პირობებს განუხილველად და მხოლოდ სთვლის თავის თავს ვალდებულად აღიაროს მთელი სიმძიმე რუსეთის მუშების და გლეხების და

დიდათ შეწუხებულნი ნინო გიორგის ასული, თამარ და ეთერ მიხეილის ასულნი, დედა, დები და ძმანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი უძვირფასეს მეუღლის, მეორენი საყვარელ მამის და დანარჩენი დაუვიწყარი ძმის

მიხეილ ადამის ძის
ვარსიმაშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს სამშაბათს, 20 თებერვალს, 10 საათზე საკუთარ სახლიდან, ტუჩკოვის ქუჩა № 12. დაკრძალული იქნება წმ. მარინეს ეკლესიაში. 223

თვრამეტს თებერვალს საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა

ნინო პავლეს ასული
ყიფიანისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმა მწუხარებით დედ მამა პავლი როსტომის ძე და ანნა ნიკოლოზის ასული ყიფიანები, ძმა როსტომ პავლეს ძე და დები: ელენე და რუსუდან პავლეს ასულნი ყიფიანები. პანაშვიდი დილის 10 საათზე და საღამოს 6 საათზე. ბინიდან გამოსვენება 21 თებერვალს, დილის 10 საათზე, სუდებნაია 10, ქვაშვეთის ეკლესიაში ხოლო იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. 1080

სოფიო, ვანო, ევა, ქიტოშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ საყვარელ დედის

მარიამ იოს. ქიტოშვილის

მოულოდნელ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიაში დილის 10 საათზე 22 თებერვალს და დაფლავება მოხდება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაზე. პანაშვიდი ყოველ ორი საღამოს ხუთი საათიდან, თარხნიშვილის ქუჩა, № 25. 225

ქართ. დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 36

ხუთშაბათს 22 თებერვალს 1918 წ.

ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი

15 წლის სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად ვ. შალიკაშვილი გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა

გადაჭრილი მუხა

4 მოქმ.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., ივერიელი ი., შოთაძე ა., ხერქიზიშვილი ე. ვაჟნი: ვ. შალიკაშვილი, გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმხნელი გ. ჟვიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ციციშვილი კ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება ქართულ კლუბის კასაში. 1710

სრულუფლებიანი ქალ-ვაჟთა

გიმნაზია

ი. მ. მაჩაიძისა,

აცხადებს, რომ მარტის 1-ლს იხსნება 6, 7, 8 კლასები.

მოწაფეები მიიღებიან ეგზამენით და უეგზამენოთ, თუ წარმოადგენს მოწმობას. ადრესი: ავლაბრის ქუჩა 10, შესავალი ავლაბრის შესახვევი 3, საკუთარი სახლი. თხოვნების მიღება 9—1 საათამდის 4—5 ს. დამაარსებლის ბინაზე მიხეილოვის ქუჩა № 25, შესავალი ალექსეევის ქუჩიდან № 5. 1076



დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ. მუზტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 20 თებერვალს, გაიმართება

გ მოსათხოვარი ბენეფისი

საქართველოს ფალავანის ვანო მედღლაურის. მონაწილეობენ ყველა მოჭიდავენი ელიზაროვის მეთაურობით. მობენეფისე საღამოს გამოვა და აჩვენებს საზოგადოებას თავის ქართული მუშტის სიძლიერეს. გაიმართება ბოქსი 100 მანეთზე მედღლაურსა ჯოი-მორას შორის. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ვანო მედღლაური და ურს იარჩიკი, 2. რაპგო და ჯოი-მორა, 3. დობრინია და ხერმეკ როლანდი, 4. ქლინი და იაგურო, 5. იალოვი და მადრახელიძე.

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება ეგვიპტელის ალის გასტროლები. 224

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო აცხადებს,

რომ კავშირის წევრთა მორიგი, წლიური

საზოგადო
კრება

დანიშნულია 1918 წლის მარტის 7-სათვის ქ. ტფილისს, ქართული კლუბის შენობაში დღის 12 საათზე.

კრების საგანი:

1. არჩევა კრების თავმჯდომარისა და მდივნისა.
2. წარსული მოქმედების ანგარიში.
3. მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა.
4. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
5. სეზონების საკითხი.
6. კერძო მოხსენებანი.
7. არჩევა კავშირის საბჭოს თავმჯდომარისა და ორის წევრისა.

წევრთა საყურადღებოდ:

ვისაც რაიმე მოხსენება აქვს კავშირის საბჭოს საზოგადო კრებამდე სამი დღით ადრე მაინც უნდა წარმოუდგინოს, შემდეგში ყოველი განცხადება და მოხსენება საბჭოს მიერ ამ საზოგადო კრებისათვის განუხილველი დარჩება და არც თვით საზოგადო კრებას წარედგინება. 1078

---

6 ქართული პოლკი

ამით აცხადებს, რომ ის ოფიცრები, რომლებიც ჩარიცხული არიან პოლკში და არ გამოცხადებულან ჯერ, თუ პირველ მარტამდე არ გამოცხადნენ, წარდგენილი იქნებიან პოლკიდან ამოსარიცხავად. 1079

მთელი მსოფლიოს წინაშე და გადასცის მათ სასამართლოში ყველაფერი მომხდარი.

რუსეთისა და გერმანიის და მისი მოკავშირეების ხელშეკრულების ხელის მოწერა მოხდება კვირას 3 მარტს (18 თებერვალს).

ხოკოლნიკოვი, პეტროვსკი, ჩიჩერინი.

თავისუფალი რუსეთის და ყველა დამონებული ქვეყნის მეზღვაურებს.

რადიო ბათომიდან. უხეშად ეჭირათ ხელში წითელი ალამი იმ მონებს, რომელნიც 17 წელს აჯანყდნენ ჰერაში ფრიალებდა იგი და გემზე მეზღვაურების გულშიაც იყო და აფრიალებული; შიშის ზარი დასცა მან ტირანებსა და ვამპირებს, რომელნიც შეშობდნენ შენს მოახლოვებაზე, მეზღვაურო! მაგრამ ჩამოკრა ზარმა და რევოლიუციის წლის თავი აუწყა. იერიში მოიტანა თქვენზე, განთავისუფლებულ მონებზე, კაპიტალმა, რომელმაც შეაერთა ბანკირები, მემამულეები და მღვდლები. ტირანთა გამოლაშქრება თავისუფლების დაღუპვას გვიქადის; მაგრამ ყველა ის, ვინც ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ, წინააღმდეგ თავისუფალ მეზღვაურებისა უმოწყალოდ და შეუბრალებლად იქნება დასჯილი მშრომელი პროლეტარის ხელით. ოქტომბრის დღეებიდან დაწყებული, ჩვენ არ დაგვისვენია, დუტოვები და კალედინები დავამარცხეთ და ახლა უახლოვებთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მტარვალებს; შეუბრალებელი სიკვდილი მას, ვინც ხელი ასწია თავისუფლების წინააღმდეგ.

წინ წითელი დროშით, მეგობრებო, წინ ბრძოლის წიაღში, ან ჩვენ გამოვდივართ შენს დასაცავად, ძვირფასო თავისუფლებავ, და ყველას აჯანყებისაკენ მოუწოდებთ. არ შევიბრალებთ არც მხდალებს, არც მემამულეებს, არც გაუმაძღარ ბანკირებს.

წინ, წინ მეგობრებო, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, წინ წითელი დროშის-ქვეშ.

ყველა პარტიზანული რაზმის სარდალი საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი დიბენკო.

შტაბის უფროსი პავლოვი.

ჯარის-კაცთა, მუშათა და გლეხთა დ. საბჭოებს.

რადიო პეტროგრადიდან.

ცენტრ. აღმ. კომიტეტმა 111 ხმით 35 ხმის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავ.) დაადგინა მიიღოს ზავის მძიმე პირობები, რომელიც გერმანიის მთავრობამ ულტიმატიურად წარმოგვიდგინა. გერმანიის მთავრობამ კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩაგვაყენა. ორი კვირის განმავლობაში ხელშეკრულება საბოლოოდ უნდა იქმნას დამტკიცებული ორივე მხრის მიერ. სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის და ადგილობრივ საბჭოების გამოხმაურებამ ამ საკითხის შესახებ, და შეკითხვებმა, რომლითაც აღმ. კომიტეტს მომართეს, გამოარკვია, რომ საბჭოებს შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს. ჩვენი რევოლიუციის ამ ძირითადი საკითხში ერთი ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა დაჟინებით მოითხოვს საზავო პირობების მიღებას იმ მიზნით, რომ ამ გზით დაისვენოს რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატმა, რათა განამტკიცოს და გააძლიეროს თავისი ძალები, შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოს იმპერიალიზმთან, როდესაც მუშათა კლასისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები დადგება. მეორე ნაწილი ამხანაგებისა მოითხოვს—არ მოვაწეროთ ხელი საზავო პირობებს და დაუყოვნებლივ მოუწოდოთ აჯანყდნენ გერმანელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ. საზავო პირობებში—დამხრჩვევა და დამარცხება რუსეთისა და საერთაშორისო რევოლიუციისა. ასეთ პირობებში ცენტ. აღმ. კომიტეტი აუცილებლად სთვლის მუშათა, ჯ.-კ., გლ. და ყაზახთა დეპ. საბჭოების საგანგებო ყრილობის მოწვევას აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად. ყრილობა დანიშნულია 12 მარტისათვის მოსკოვში. ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ მოსკოვის დეპ. საბჭოს, ცენტრ. აღმ. კომ. ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროში. წარმომადგენლობის ნორმა ისეთია, როგორიც მუშ. და ჯ.-კ. საბ. მე-2 და მე-3 ყრილობის და გლეხთა დეპ. მე 2 ყრილობის.

პეტროგრადი 17 თებერვალი. სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტ. აღმ. კომიტეტი.

—

რუსეთის დელეგაციის მდივანი კარახანი ატყობინებს ლენინს სმოლნის ინსტიტუტში: „ჩამოვედით ბრესტლიტოვსკში. დღეს თათბირი გვქონდა პლენარიულ სხდომის წესრიგის შესახებ. ჩვენი ჩამოსვლის ულტიმატუმზე მოწინააღმდეგე მხარემ გვიპასუხა, რომ საომარი მოქმედება მხოლოდ მას შემდეგ შესწყდება, როდესაც საზავო ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ. სამი დღის ვადა პირველი სხდომიდან ითვლება, რომელიც დაიწყება 1 მარტს, დღის 11 საათზე.

—

სარევოლიუციო თავდაცვის კომიტეტის ბრძანება ყველა რევოლიუციონური რაზმის უფროსს:

„ფრონტზე მომხდარ ამბების გამო შემჩნეულია მასიური მოძრაობა ჯარის კაცების, რომელნიც მტერს გაურბიან და აფერხებენ რკ. გზაზე მიმოსვლას. რკინის გზების აგენტთა ცნობებით, ჯარის კაცები აკავებენ მატარებლებს, ანადგურებენ ვაგონებს, იტაცებენ საქონელს და ემუქრებიან ყველას, ვინც კი იარაღით უწევს წინააღმდეგობას. ყველა შეიარაღებულ რაზმის უფროსს და აგრეთვე სადგურების კომისარებსა და უფროსებს ევალება, ყოველი ღონე იხმარონ და იარაღი აჰყარონ ამ ჯარის-კაცებს. ჩამორთმეული იარაღი უნდა გადასცენ ახლომდებარე საწყობში. ვინც კი არ მოისურვებს წითელ არმიაში შესვლას, უთუოდ უნდა გაიგზავნოს ახლო მყოფ სამხედრო უფროსის განკარგულებაში, რათა აქედან დანაწილებულ იქმნენ გუბერნიებში. ხოლო ისინი უნდა გაიგზავნონ ისე, რომ პეტროგრადის გავლა არ მოუხდესთ. ვინც არ დაემორჩილება და იარაღს არ აიყრის ან შეიარაღებულ ძალით გაუწევს წინააღმდეგობას, იქვე უნდა იქმნენ დახვრეტილი.

კომიტეტის წევრები: **კრილენკო, ერემეევი, ხვედლოვი, ბონჩ ბრუევიჩი და ბლაგონრავოვი.** მდივანი: **გუზევი.**

ოსმალეთის ფრონტზე.

არზრუმის მიმართულებით, ალაჯის დასავლეთით მოქმედებენ ოსმალთა მზვერავები და ქვეითა ჯარის ნაწილებიც. ვან-ხნისის მიმართულებით, პირსუსის რაიონში ოსმალთა მზვერავები შეებრძოლნენ ჩვენს მზვერავებს, რომელთაც მიეშველენ ჩვენი ნაწილები და შეტევის შემდეგ დაიკავეს პირხუსი. დაჰკარგეს 8 კაცი—2 მოკლული და 6 დაჭრილი. ოსმალებმა და ქურთებმა კორმუჯისაკენ დაიხიეს. შეტევასთან ერთად ვანის ფლოტილიამ სროლა დაუწყო ადალჯევასსა და ასლატს.

ტრაპიზონში, 14 თებერვალს ნავთსადგურის მახლობლად ცეცხლი გაჩნდა: ცეცხლი საწყობებში გადავიდა, სადაც ტყვია-წამალი ინახებოდა. საწყობი აფეთქდა. დაზიანებულია სამას კაცამდე. მეორე დღეს ცეცხლი ჩაქრა. რუს-ოსმალთა კომისია უკვე შეუდგა ტრაპიზონში დარჩენილ ქონების გადაცემას ოსმალთა განკარგულებაში.

შატილოვი.

ცხინვალი და მისი ამბები.

ბევრი ხანია ცხინვალზე არა დაწერილა რა და ურიგო არ იქნება, მისი ამბები მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ.

მარჯვენა ნაპირი დიდი ლიახვისა, სადაც დღეს ცხინვალია გაშენებული, ოდესღაც რცხილასი ტყით დაფარული ყოფილა. მცხოვრებლებს ტყე გაუჩეხიათ და ადგილისთვის რცხილნარი დაურქმევიათ. შემდეგ დროთა მსვლელობაში სოფელი რცხილნარი ცხინვალად ქცეულა.

ზეპირ გადმოცემით, რცხილნარი მეცხრე მეათე საუკუნეში გაშენებულა და დიდი მნიშვნელოვანი ადგილიც ყოფილა: კავკასიონის ქედის იქითა მხარეს და კავკავს საქართველოსთან ვაჭრობა თითქმის მარტო რცხილნარის საშუალებით ჰქონებიათ. თამარ მეფის ხსოვნა აქაც შენახულია; იგი დაკავშირებულია ციხის გოლოვანის ნანგრევებთან, რომლებიც დღემდე შენახულია. ცხინვალის ადგილ-მდებარეობა ლამაზია. ჰაერი სადი. აღმოსავლეთით ზღუდრის უბანი ახლავს ცხინვალს, დასავლეთ-სამხრეთით გუჯაბაური და ჩრდილოეთით სოფელი დგვრისი. სივრცით ცხინვალი და ორი მისი უბანი—ზღუდერი და გუჯაბაური 1550 დღიურამდე იქნება; თვით ცხინვალი, მისი შუაგულის სივრცე კი—200 დღიურამდე.

უწინ მთელი ადგილი, სადაც ახლა ცხინვალია აშენებული, სამაჩაბლოში შედიოდა, დღეს კი ცხინვალი კერძო წვრილ მესაკუთრის მიწებზეა გაშენებული, გარდა მცირე ნაწილი ბერძნების სამონასტრო ადგილისა.

ცხინვალი დღითი დღე ქალაქის ხასიათს ღებულობს. იგი გარს შემორტყმულ სამასამდე სოფლების სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი გახდა. პარასკევ-კვირაობით აქ ბაზრობა იმართება: შორეულ სოფლებიდან და სამხრეთ ოსეთიდგან შემოაქვთ ხოლმე გასაყიდად სხვა და სხვა სანოვაგე, შეშა, ნახშირი ერბო, ყველი და სხვა, მოყავთ აგრეთვე მსხვილ და წვრილ ფეხა ცხოველი, ცხენი, ღორები და სხვა. ცხინვალი და მისი რაიონი ხილით, ტყით და ყველითაა მდიდარი. ცხინვალიდან და ახლო მახლო სოფლებიდან კერძო ვაჭრები რამდენიმე ათი ათასი ფუთს ხილს, კაკალს, ჩირს და სხვას გაზიდავენ ხოლმე ყოველ წლიწადს.

მცხოვრებთა უმრავლესობა ცხინვალში ვაჭრობა-მრეწველობას მისდევს. აქ 30 კაცს ბაზაზის დუქანი აქვს გაღებული, 60—საწვრილმანო; არის აგრეთვე ორი ლიმონათის და შვიდი აგურის დასაწვავი ქარხანა, ცხრა სახერხაო და სხვა. ცხინვალში სულ შენობა—სახლები, სხვა და სხვა მაღაზიები და სახელოსნოები—2500 იქნება, მათ რიცხვში ხის შენობა 200 სახლამდეა, დანარჩენი ქვითკირის.

ცხინვალში ბევრი საადმინისტრაციო და საკულტურო დაწესებულებაა: რაიონის კომისარი 34 ცხენოსანი მილიციონერებით, სარაიონო სასურსათო კომიტეტი, მომრიგებელი მოსამართლე და გამომძიებელი, ფოსტა ტელეგრაფის კანტორა, საავადმყოფო, ნოტარიუსი, ადგილობრივი ცხინვალის კომისარი, ორკლასიანი სასწავლებელი, კერძო ებრაელების და სომხების სკოლები, ახლა ხანს გახსნილნი პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და საფეიქრო სკოლა, სამკითხველო, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, მომხმარებელთა კოოპერატივი და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

მცხოვრებთა რიცხვი ცხინვალში 9 ათასამდეა. უმრავლესობას ებრაელობა შეადგენს (346 კომლი), შემდეგ რიცხვით ქართველები სჭარბობენ (310 კომლი), მერმე სომხები (160 კომლი) და ბოლოს ოსები (80 კომლი).

საზოგადოებრივი ცხოვრება ნაკლებადაა ცხინვალში განვითარებული და მცხოვრებთა კულტურული მდგომარეობა უნუგეშო.

შევეხოთ მცხოვრებთა ეროვნებათ დაყოფას. ცხინვალში მცხოვრებთ ეროვნებათ ისე ყოფენ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მაგრამ ეს დიდი გაუგებრობა-შეუგნებლობაა, ეროვნებას ისე როგორც ყველა საგანს და ცნებას თავისი დამახასიათებელი ნიშნობლივი თვისებები აქვს. ეროვნების უმთავრესად გამომხატველი თვისებები, რომელთა გარეშე ცნება ერი ისპობა, არიან: ენა, ზნე-ადათი-ჩვეულება, ისტორიული თავგადასავალი, ხასიათი და გარეგნული შეხედულება. აქაურ სომხებს ამ თვალთაზრისით რო შევხედოთ და მათ ყოფა ცხოვრებას დავაკვირდეთ, არავითარი სომხის ერის დამახასიათებელ თვისებებს მათში ვერ ვპოვებთ. ცხინვალის ოვანოვები, ტერ-სტეფანოვები გოგინოვები (მ უკანასკნელთა გვარეულობაში ზოგი მართლ-მადიდებელია, ზოგი კი გრიგორიანი) და სხვები ისე როგორც დიდი უმრავლესობა საქართველოში მცხოვრებთა გრიგორიანებისა. წმინდა წყლის ქართველები არიან მშობლიურ ქართულ ენაზე მოლაპარაკენი გარეგნობით, ზნე ჩვეულებით და სხვა. ქართველ გრიგორიანთა უმრავლესობა ვაჭრობა მრეწველობას მისდევს, დანარჩენი ქართველობა კი ხნა-თესვას და აი ეს, აგრე ვთქვათ, პროფესიონალურ განსხვავებას და მის მიერ გამოწვეულ ხასიათის სხვა-და-სხვაობას შეუგნებლობით ეროვნულად ვნათლავთ.

ცხინვალი რევოლიუციონურ მოძრაობაში მარტიდანვე ჩაება, თუმცა მას განახლება სრულებით არ ეტყობა და სარევოლიუციო ორგანიზაციები დაიარსა: აღმასრულებელი კომიტეტი, მუშათა საბჭო, სოციალ-დემოკრატების პარტიული ორგანიზაცია და ბოლო ხანებში სოციალ ფედერალისტთა ორგანიზაცია.

მართალია, სისტემატიურად ლექცია—საუბარი არ იმართებოდა, მაგრამ მიტინგებზე მოსმენილი სიტყვებით მაინც ხალხი ასე თუ ისე თვითცნობიერდებოდა; მეტი სიხალისე, აღფრთოვანება ეტყობოდა მოქალაქეებს პირველ ორ სამ თვეს. დიდის აღტაცებით უსმენდა ხალხი სოციალ-დემოკრატების ორატორებს სხვა პარტიის წარმომადგენელს არ აპატიებდნენ 18 აპრილს პირველ მაისობისა გამო გამართულ მიტინგზე ბრბომ ერთ ახალგაზრდა სტუდენტს ლაპარაკის ნება არ მისცა, როცა გაიგო, რო ის სოციალ-ფედერალისტი იყო და სიტყვა საქართველოს გაგონებაზე „ძირს ძირს" ძახილით აურზაური ასტეხა, სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენეს ს.-ფედერალისტებს და დაემუქრნენ კიდეც შემდეგ კი ყოველისფერს გულგრილობა დაეტყო. თუ არ უარესობა, უკეთესობა ცხინვალს არ ეტყობა: ისევ ძველი ანტისანიტარული მდგომარეობა საშინელი უსუფთაობა, დაბნელებულ ქუჩებში ძველი ცნობილნი სანიტარები ღორები, ზურნა ორღანით ცხინვალის შუაგულ ღვინოთი დრო სტარება და თოფ-რევოლვერის სროლა, ყოველ ნაბიჯზე სამიკიტნოები (ჯერ ჯერობით 30 მოქალაქეს აქვს გახსნილი), საკრებულოში (კლუბში) ძველებურად ბანქოს თამაში და სხვა და სხვა, ერთის სიტყვით ყოველის ფერი ძველებურადაა, ახალია მხოლოდ აუტანელი სიძვირე და კუდები მეფურნე მეყასბებთან და ადგილობრივ კოოპერატივში.

არეულობა ჩვენში

თელავიდან ატყობინებენ ამიერკავკასიის კომისარიატს: 18 თებერვალს, საღამოს ხუთ საათზედ, იქაურ მერვე ქართულ პოლკის ჯარისკაცები დახცემიან ადგილობრივ კომისარიატს და აუტეხია სროლა, რომელიც დაჭრილია ორი ჯარისკაცი. ქალაქში შიშიანობაა, რით გათავდება საქმე არ იციან მიზეზი ამისა იყო ერთი მილიციონერის იარაღის აყრა რომელიც ბოლოს დაბრუნებულ იქნა.

ახალი ამბავი

◆ **ტრაპიზონი.** ბათომის კომენდანტი გენ. ქუთათელაძე დეპეშით ატყობინებს ამიერკავკ. კომ. თავმჯდომარეს: ტრაპიზონთან კავშირი არ არის, რადგან რადიო სადგური არ არსებობს. დღეს საგანგებო მომსპობი ნავი გაიგზავნება, რომელიც წაიღებს ამიერკავკ. კომ. დეპეშას გენ. კოლოსოვსკის გადასაცემად და ხვალ მოიტანს პასუხს.

◆ **არზრუმიდან** შტაბის უფროსი ვიშინსკი დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: „სარიყამიშში რადიო-სადგური ჯერ არ არის გაკეთებული. როგორც კი კავშირი გვექნება, გადავსცემთ თქვენს დეპეშას ვეხიბ-ფაშას კონაკში. არც ტრაპიზონში გადაცემა შეიძლება შტორმის გამო".

◆ **კავკასიის ფრონტზე.** იგივე ვიშინსკი აზრუმიდან იტყობინება: კოჩხინის რაზმი მოვიდა ვილიჯაში ნაშუადღევს 4 საათზე. იურხმის მხრით ცხენოსანი ოსმალები გამოჩნდნენ, რომელთაც დაიხიეს ჩვენ მზვერავებთან შეტაკების შემდეგ. ხნისის მიმართულებით, სოლუკის ხიდთან ოსმალთა პარლამენტიორმა ჩვენი ოფიცერი გამოიწვია და დაეკითხა რატომ არ იხევთ და არ მიდიხართ აქედანო. პარლამენტიორის განცხადებით ოსმალებმა უკვე შეჰკრეს ზავი ბოლშევიკებთან, რომლის ძალით ჩვენ სარიყამიშისკენ უნდა დავიხიოთ და ოსმალებს დაუტოვოთ სურსათი დ იარაღი.

◆ **ვალ. შალიკაშვილის სადღესასწაულო წარმოდგენა.** სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების აღსანიშნავად 22 თებერვალს, ხუთშაბათს, ქართულ კლუბში მის პატივსაცემად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა. დადგმული იქნება მისივე პიესა „გადაჭრილი მუხა". ბილეთები უკვე იყიდება.

◆ **ახალქალაქიდან** 18 თებერვალს ამიერ კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს სადგურის რწმუნებული მურადოვი და პოლის მანუკოვი: სოფლები სოროხს და ზაზავრს გარს

შემოერტყა მაჰმადიანთა ჯარი. თხოულობენ 24 საათს დაუთმონ მათ იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან დარბევას და ამოწყვეტას. ქართულ სოფლები დაარბიეს და უიარაღოდ დასტოვეს მაჰმადიანებმა. იქაური მცხოვრებლები შეშინებულნი არიან. გთხოვთ დაგვეხმაროთ ჯარით და იარაღით.

◆ ალექსანდრე ქიტოშვილს, რომელმაც რეოლვერის ხმარება ძალიან კარგათ იცოდა უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი; ტყვია შიგ გულში მოხვდა მის დედას მარიამს რომელმაც წამს სული დალია.

◆ **ქართული თეატრის** საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად 639 მან. 11 შაური შეიტანა რ. ჩხეიძემ. რომელნიც შეკრიბა მან თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა წრეში.

◆ **მეექვსე ქართული პოლკი** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ის ოფიცრები, რომელნიც ჩარიცხულნი არიან პოლკის სიებში და ჯერ არ გამოცხადებულან წარდგენილნი იქნებიან ხელმოსარიცხავად იმ შემთხვევაში, თუ პირველ მარტამდე დანიშნულებისამებრ არ გამოცხადდენ.

◆ **შამქორიდან** აგენტი ბაბინი 18 თებერვალს დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს რომ ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაიგე, რომ ბრძოლით მოდის რამოდენიმე ეშელონი, ისმის თოფის სროლა, ხიფათის ასაშორებლად გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები, და ჩამოხვიდეთ მაჰმადიანთა დელეგაციით.

◆ **აბასთუმნიდან** 17 თებერვალს პოლკოვნიკი კოჯარი ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ აქ ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა, ამასთანავე ერთად პროვოკატორული გამოსვლებიც. გთხოვთ დანიშნოთ კომისსია. საჭიროა სასახლის დაცვა, აგრეთვე ძვირფასს ნივთების გადატანა ტფილისში.

◆ **ქერი.** ბათომიდან სასურსათო მეურნეობას ატყობინებენ, რომ 19 თებერვალს 7 ვაგონი ქერი მოვიდა.

◆ **კათოლიკოზ-პატრიარქის ავადმყოფობა** საქართველოს კათოლიკოსი კირიონ მეორე ავად არის. ექიმები, რომელნიც სწამლობენ მას, იმედს იძლევიან გამოკეთებისას. კათოლიკოსი გუშინ თავის თავს უკეთესად გრძნობდა.

◆ **ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების დადგენილება.** ქართულ უნივ. სტუდენტთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა რიგს გარეშე მოხსენება ამხ. კოწია გამსახურდიასი მომენტის შესახებ დაადგინა ერთხმად: ყველა ქართველი სტუდენტი ვისაც იარაღის ტარება შეუძლია დაუყონებლივ ჩაეწეროს ეროვნულ ლაშქარში.

სოფლად და ქალაქად

გორი

როგორც მკითხველსაც მოეხსენებათ, „გორის რევოლიუციის" დროს, 7 თებერვალს, სხვათა შორის დააპატიმრეს ადგილობრივ ბოლშევიკთა „ლიდერი", გორის სასამართლოს მდივანი შატუნოვი და ციხეში ჩასვეს. ორი დღის შემდეგ „რევოლიუცია" ტყუობა. ახლა შატუნოვს გონებაში მოსულა და 12 თებერვალს მან მუშათა საბჭოს თავის ალმატების და ცოდვების აღიარების სამარცხვინო ფურცელი გამოუგზავნა ეს ბოლშევიზმი კი არა, ყაჩაღობა ყოფილა,—სწერს ლიდერი თავის „აღსარებაში",—დავრწმუნდი იმაშიც რომ ხალხი სოციალიზმისთვის მზად არ ყოფილა, შემაცდინეს, მაპატიეთ, გამიშვით ციხიდან და სიტყვას გაძლევთ აღარაფერში მივიღო მონაწილეობაო აქ შეირცხვინა თავი ამ „უბრალო მებრძოლმა" დაჩაგრულ ხალხის ინტერესებისთვის. ნეტა „ლიდერი" მაინც არა ყოფილიყო. იგი იყო, რომ ბოლშევიკების სახელით ლაპარაკობდა ყოველ კრებებზე, იგი იყო რომ ბოლშევიკების მიტინგებზე თავმჯდომარეთ და ხოლმე, იგი იყო, რომ სტეფან შაუმიანს ისე ესარჩლებოდა, იგი იყო, რომ ფ. მახარაძეს და თედორე კალანდაძეს აუძღვა პოლკში ქართველ ჯარის-კაცებთან და „გაბოლშევიკეს", იგი იყო... მაგრამ ესეცა კმარა შატუნოვის დასახასიათებლად, მისი სურათი იმის წერილით შეივსება, რომელიც ქართულ პრესაში დაიბეჭდება. რა გუნებაზე შედგებიან ნეტა ფ. მახარაძე, შაუმიანი და ძმანი მათნი?

— წესიერება ნელ-ნელა კალაპოტში დგება. თვალყური ახლა სოფლებისაკენ არის მაპყრობილი, სადაც თავაშვებული ყაჩაღები დათარეშობენ. იმედია, რომ ბოლო იმათაც მალე მოეღებათ.

საშინელი ამბები სოხუმში.

პირდაპირი მავთულით სოხუმიდან საზარელი ამბები მოდის. წუხელის დღეს დილის ათ საათამდე ნალაპარაკევიდან გამოირკვა შემდეგი: ორი დიდი სამხედრო გემი მოადგა სოხუმს და გაჩერდა ნავთსადგურში. რამდენიმე მატროსი გადმოვიდა ხმელეთზედ და დაიწყეს უწესოების მოხდენა, სტაცეს ხელი შემთხვევით გამვლელ სამხედრო ოფიცერს ადგილობრივი აფხაზთა ჯარის ემუხვარს და მოუნდომეს პაგონების აგლეჯა, ოფიცერი არ დაემორჩილა, იძრო რევოლვერი და ერთი მატროსი მოჰკლა, დანარჩენი მატროსები გაბრუნდნენ გემებზედ და შეიარაღებული ამხანაგებით გამობრუნდნენ ქალაქში, სადაც მოითხოვეს მკვლელი ოფიცერი, რომელიც სარევოლიუციო კომიტეტს თავმჯდომარის ბოლშევიკის თანხლებით წაიყვანეს გემზედ. აქ უთუოდ შეტაკების დროს ოფიცერმა ერთი მატროსი კიდევ მოჰკლა, რის შემდეგაც ემუხვარი მატროსებმა ჩააგდეს საორთქლო მილში და დასწვეს.

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში სრული ანარქია. აფხაზთა რაზმი იძულებული შეიქნა გასულიყო ქალაქს გარედ; იქ მოელის აფხაზთა პროვინციებიდან დამხმარე რაზმებს. მართვა-გამგეობა ბოლშევიკების ხელშია. ქალაქში განუწყვეტელი სროლაა. ორთავე სამხედრო გემები განუწყვეტლივ უშენენ ქალაქს ზარბაზნებს. ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი და ოლქის კომისარი ქალაქში ორი დღეა არ არიან. ფიქრობენ ქალაქ გარედ პროვინციებში აფხაზებთან თათბირობენ, რათა თავიდან აცილებული იქნეს ნაციონალური განხეთქილება, რომელსაც პროვოკატორები ეცდებიან გააჩაღონ და საერთო ძალით შეეცადონ წესიერების აღდგენას.

თანამედროვე სულისკვეთება

მდგომარეობა კვლავ გართულდა. დემოკრატიამ ვერ შესძლო ჯერ-ჯერობით რუსეთში შესაფერისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ორგანიზაციის მოწყობა. წესიერება ან არ დამყარდა, ან მისს დასამყარებლად საჭირო შეიქმნა არა ლეგალური, არა სასურველი საშუალებანი... მართვა-გამგეობა დაიქსაქსა, დანაწილდა. მართველობის ავტორიტეტზე ლაპარაკი საუბედუროთ მეტია დღეს. საგარეო მდგომარეობა უფრო უიმედოა. რუსეთი გერმანიის და მისს მოკავშირეების სათარეშოთ გახდა. ამიერ-კავკასიის მთავრობამაც გადასწყვიტა ოსმალეთთან ზავი ჩამოაგდოს, თუმცა დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ეს ზავი ხელსაყრელ პირობებში შეიკვრება.., მართალია ომის ფაქტიურად დაბოლავებამ, დაგვირგვინება სჭირია ზავის სახით; მაგრამ წარმოუდგენელ გასაჭირ პირობებში უხდება ამიერკავკასიის დემოკრატიის წარმომადგენლებს ოსმალეთთან მოლაპარაკება. შესაძლებელია ამიტომ მიუხედავად ჩვენი მხურვალე სურვილისა ზავის შეკვრა გაძნელდეს. არც ის შეიძლება გადაჭრით ვსთქვათ, თუ რამდენად გაუადვილებს ზავის შეკვრა მდგომარეობას დემოკრატიას და მისცემს, მას თუ არა საშუალებას მთელი ყურადღება და ძალა შინაგან საქმეებს მოანდომოს, ვინაიდან არ ვიცით რუსეთის მოკავშირეები რა გზას დაადგებიან ზავის შეკვრის დღიდან. მაგრამ თუ გინდ ამ მხრით არა მოგველოდეს რა. არ შეგვიძლია ვსთქვათ, მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდება. ნუ მოვიტყუებთ თავს, სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ. დღეს საზოგადოების სულის კვეთება და განწყობილება დიდ ცვლილებას განიცდის. რევოლიუცია შეფერხდა რეაქცია დაიწყო. არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ამ რეაქციის დაწყებას თვით რევოლიუციის წინააღმდეგ იმ საზოგადოებრივ კლასთა შორის, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ და ღებულობენ საერთო მოძრაობაში. დღეს დემოკრატიას სჭირდება ბრძოლა არა რევოლიუციის გაღრმავებისათვის, არამედ რეაქციის წინააღმდეგ.

საზოგადოებას ერთგვარი დაღლილობა ეტყობა; საზოგადოების ზოგიერთი ნაწილები შიშით არიან შეპყრობილნი, ზოგი კი იმედ გაცრუებულნი; არის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც უკვე აპატიას შეუპყრია; ერთის მხრით მოწინავე დემოკრატია განაგრძობს ბრძოლას რევოლიუციის პრინციპების განხორციელებისათვის, მეორეს მხრით რევოლიუციის წინააღმდეგ დაინტერესებული კლასები ირაზმებიან და არ სურთ დაკმაყოფილდნენ უკიდურესობის წინააღმდეგობით; ისინი უფრო შორს მიდიან და საზოგადოებრივ შეხედულებათა მთელ წყებას, რომელიც რევოლიუციასთანაა შეერთებული და გადაბმული, მტრულად ეპყრობიან.

ამ გვარი განწყობილება ბუნებრივია; შეშინებულნი მომხდარ ცვლილებებით და ამბებით ფიქრობენ, რომ საზოგადოების დასამშვიდებლად, დასაწყნარებლად და მის მოღონიერებისათვის საჭიროა აღვადგინოთ ყოველისფერი ისე რაც სულს გვიხუთავდა, გვაწუხებდა, გვტანჯავდა. ძველი შეხედულებანი ვითომდა სამარიდან სდგებიან, მათ დაცვას კისრულობენ,

აიღეთ საკითხი, რომელიც ყველას განურჩევლად მიმართულებისა აინტერესებს, საკითხი მართვა-გამგეობისა. ყველანი ძლიერ, ავტორიტეტულ მთავრობის მოწყობის შესახებ ლაპარაკობენ, ყველას თავისებურად ესმის ეს საკითხი. მაგრამ ყველას ვითომდა ავიწყდება, რომ ძლიერი მთავრობა რეალური საზოგადოებრივი ძალთა განწყობილების შედეგია; ხელოვნურად მისი შექმნა ყოვლად შეუძლებელია. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ამისათვის თანამედროვე მომენტი ხელსაყრელი იყოს.

საზოგადოებრივი დაშლა, დარღვევა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ანარქია, რომელმაც უმაღლეს წერტილამდის მიაღწია, სრულიადაც ხელს არ უწყობს ძლიერ ავტორიტეტულ მთავრობის შექმნას.

მართალია მზადდება ნიადაგი, მაგრამ ამ ნიადაგზე შესაძლებელია აღმოცენდეს დემოკრატიისათვის არა სასურველი ფაქტები და მოვლენები; დღეს მდგომარეობა, ვიმეორებთ, საკმაოთ შეიცვალა.

„სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრება", ადგილობრივი სეიმი" აღარ იწვევს იმედს, აღტაცებას... ძახილი „სამშობლო განსაცდელშია" აღარ ღვიძებს საზოგადოების გულს და შესაფერ გავლენას ვერ ახდენს. საოცარი გულ-გრილობა და ეგოიზმი იკიდებს ფეხს. ქალაქებში და სოფლად გაისმის ხმა: არ არის პური, ან ის ნამეტანი ძვირია, დამნაშავეა ახალი მთავრობა, რევოლიუცია; ანარქია მძვინარებს, დამნაშავეა ახალი მთავრობა, რევოლიუცია; არ არის ფული, ან ის ცოტაა, დამნაშავეა ახალი მთავრობა, რევოლუცია; სიღარიბე, გაჭირვება და ტანჯვა ხალხისა იზრდება, დამნაშავეა ახალი მთავრობა, რევოლუცია; არ მოხერხდა დემოკრატიული, საყურადღო ზავი, დამნაშავეა ახალი მთავრობა, რევოლუცია.

ეჭვს გარეშეა, ახალ მთავრობასა აქ ყველაზე უფრო ნაკლები დანაშაულობა მიუძღვის. მაგრამ არ შეიძლება საზოგადოების ამ სულიერ განწყობილებას ანგარიში არ გავუწიოთ. შესაძლებელია „პურის და მშვიდობიანობის" მოთხოვნილებათ გადაიქცეს. ეს უნდა გაითვალისწინონ დემოკრატიის სარდლებმა და რევოლუციის დამცველებმა, ვინაიდან ვინც ხალხს „პურს და მშვიდობიანობას" მისცემს გამარჯვებაც იმას დარჩება.

ალ. მდივანი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

მეხუთე სხდომა. 17 თებერვალი.

დღის 2 ს. 55 წ. თავმჯდომარე ქ. ჩხეიძე ზარის წკრიალით მოუწოდებს ჯგუფ ჯგუფად მომსხდართ დეპუტატებს დაიჭირონ თავის ადგილები, მაგრამ გადის თითქმის 20 წუთი, ვიდრე დეპუტატები თავმჯდომარის სურვილს შეასრულებენ. 3 ს. 13 წ. ქ. ჩხეიძე სხდომას გახსნილად აცხადებს და მოახსენებს სეიმს დღის წესრიგს, რომლის მიხედვით ასარჩევია საზავო დელეგაცია, სამეურნეო ნაწილის გამგე კომისია და თავმჯდომარის ამხანაგები.

ნ. რამიშვილი. თავმჯდომარე საზავო კომისიისა, დელეგაციის არჩევის შესახებ აცხადებს, რომ ფრაქციათა შეთანხმებით ასარჩევია დელეგაციაში თორმეტი კაცი და რომ შემუშავებულია რეგლამენტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ დელეგაციის წევრებმა თავის მისიის ასრულების დროს. რეგლამენტი სულ ორ მუხლს შეიცავს: 1) დელეგაცია მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანი რამ თავის თავმჯდომარის საშუალებით ანდა თვითეულ შემთხვევაში ცალკე რწმუნებულ პირის შუამავლობით სეიმისგან მიღებულ ძირითად დებულებათა საზღვრებში და რაიმე სეპარატიული გამოსვლა შეუძლებელია და 2) დელეგაცია დაწვრილებით აცნობებს ხოლმე სეიმს მოლაპარაკების მსვლელობას და ყოველ მნიშვნელოვან საკითხის შესახებ ითხოვს სეიმისგან წინასწარ სახელმძღვანელო ცნობებს. დელეგაციაში უნდა შევიდნენ ფრაქციათა შეთანხმებით შემდეგი პირნი: აკ. ივ. ჩხენკელი (ს.-დ.) — თავმჯდომარედ, წევრებად ჰაიდარ ბეგ აბაშიძე (ს.-დ.), ალ. ხატისოვი (დაშნ.), კაჩაზნუნი (დაშნ.), მამედ ჯაჯინოვი (მუსავატ), ხას-მამედოვი (მუს.), ჩეკალინი (ს. რ.). იბრაჰიმ ჰაიდაროვი (მუს.), [illegible], გიორგი ლასხიშვილი (ს.-ფედ.), შეიხ-ულ-ისლამოვი (ჰუმმეტ), [illegible] (იტტიჰატ) და გიორგი გვაზავა (ნ.-დ.)

სეიმი წარმოდგენილ რეგლამენტს და დელეგაციის სიას ერთხმად ამტკიცებს. აღსანიშნავია, რომ კადეტი სემიონოვი სიაში შეტანილი არ არის. ამას უკავშირებენ გუშინდელ მის გამოსვლას.

შემდეგ ირჩევენ სამეურნეო ნაწილის გამგე კომისიას. ამას შეადგენენ: ბერნშტეინი ესდეკებისაგან, ჯიბლაძე, ჯამო-გაჯინოვი მუს. ბლოკისაგან, მაბტიბეკოვი მუსავატ., მამედ-ბეგ და ხორენ ამასპიურ დაშნ.

მერე ასახელებენ მთელ რიგს სხვა და სხვა კომისიებისას, სადაც უნდა სწარმოებდეს მომავალი მუშაობა სეიმისა. მათი რიცხვი ათეულზე მეტია. ამ საკითხის გამო გ. გვაზავა იღებს სიტყვას, რომელიც პრინციპიალური მოწინააღმდეგეა ასე მრავალ კომისიების შექმნის. ის მოითხოვს აირჩეს ერთი და მთავარი კომისია, რომელიც სეიმის კომპეტენციას განსაზღვრავს, აღნიშნავს რა და რა საკითხები ექვემდებარებიან იმის კომპეტენციას და რომელი საკითხები უნდა გადაეცეს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიურ ერთეულებს. გარდა ამ კომისიისა, რომელიც შეიმუშავებს სეიმის კონსტიტუციას, გვაზავას საჭიროდ მიაჩნია იქნეს არჩეული მხოლოდ სამი კომისია მეტად მწვავე საკითხების მოსაგვარებლად და გასარკვევად, სახელდობრ, ფინანსიური, სამხედრო და ეროვნული. რაც შეეხება აგრარულ საკითხს, იგი უნდა განიხილოს ერ. ტერიტ. სეიმებმა.

ჩხეიძე წინადადებას იძლევა საკითხი კომისიათა რაოდენობისა, მათი სია და შემადგენლობა გადაეცეს პრეზიდიუმს და ფრაქციათა წარმომადგენლებს, რომელნიც შემდეგ სხდომისთვის ამ საკითხს სეიმს დამზადებულად წარუდგენენ.

სეიმი ადასტურებს ამ წინადადებას და გადადის თავმჯდომარის ამხანაგების არჩევნებზე.

რასულ ზადე (მუსავ.) ჩვენი ფრაქციის აზრით საკმარისია ორი ამხანაგი: უფროსი და უმცროსი. ფრაქციონურ წარმომადგენლობის სისტემის მიხედვით უპირატეს ამხანაგად უნდა ითვლებოდეს მუსავატის ფრაქციიდან დასახელებული ამხანაგი, როგორც მრავალრიცხოვანისაგან, ხოლო უმცროს ამხანაგად დაშნაკელი.

თარხანოვი (ს. რ.) ასეთ კონსტრუქციას პრეზიდიუმისას უსამართლოდ სცნობს და მოითხოვს სამი თანასწორი ამხანაგი მუსავატის, დაშნაკციუტუნის და ესერებისაგან.

66 ხმის უმეტესობით (მენშევიკები, მუსავატი და ნაც. დემ.) გადის პარ-

---

სამწუხაროთ არც ერთმა სარევოლიუციო ორგანიზაციამ და დაწესებულებამ ისეთი ვერაფერი შექმნეს, რომ ხალხს მათი ნამოქმედარი პრაქტიკულად დაენახა აღმასრულებელი კომიტეტი კრებებს კრებებზე მართავს, ზოგჯერ მეტად გონივრული დადგენილება გამოაქვს, მაგრამ სისრულეში ვერ მოჰყავს.

ქურდ-ბაცაცების და ყაჩაღების ასალაგმავად როგორც ცხინვალის რაიონის ისე ადგილობრივმა კომიტეტებმა იქონიეს მსჯელობა და ორგინალური დადგენილება გამოიტანეს: რადგან ავაზაკის ყველას ეშინია, ყველა სოფლის საზოგადოებანი ფარულად უნდა მოეხდინათ შენიშნულ პირების აღწერა; მთელი საზოგადოების ყრილობაზე ავაზაკების და შენიშნულების სიას გამოაცხადებდნენ, მათ ხალხი საჯაროთ გააფრთხილებდა და თან ნოტარიული წესით პირობას ჩამოართმევდა, რომ ისინი კისრულობენ სოფლებში ყარაულობას და თუ რამე დაიკარგებოდა, ზარალის ანაზღაურებას; აგრეთვე გადაწყვიტეს მათ წინააღმდეგ ზნეობრივი ზომების მიღება: საჯარო სიტყვიერი გაკიცხვა, ბოიკოტი, სამუშაოზე გაყვანა და სხვა. გამოითქვა სურვილი, ცხინვალში ციხის აშენებისა, მაგრამ ყოველისფერი ეს სურვილად დარჩა, არ განხორციელდა. დამნაშავეებთან ბრძოლა კი აუცილებლივ საჭიროა ეს საქმე მეტის მეტად მოუწყობელია რამოდენიმე დღით ხანდისხან თვეც დატუსაღებულნი ჰყავთ დამნაშავენი. არ იციან რა უყონ მათ მოსამართლე-გამომძიებელი არ არიან ხალხის ნდობით აღჭურვილნი, როგორც ძველი მთავრობის დანიშნული.

ცხინვალში გორიდან ფოსტას კვირაში ორჯერ ვღებულობდით. აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდა ყოველ დღიურ ფოსტის მიმოსვლა მოეწყო, მაგრამ დახეთ უბედურებას: ფოსტა გორიდან სრულებით შეწყდა ფოსტის მოიჯარადრე ი. შოშიაშვილმა ხაზინას ფასის მომატება მოსთხოვა. ცარიელმა ხაზინამ მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა და შოშიაშვილმაც ფოსტის ზიდვას თავი დაანება. კომიტეტმა ბევრი ილაპარაკა ჩვეულებრივ მაგრამ ჯერ ჯერობით ვერას გახდა მოუწოდა ადგილობრივ შეძლებულ ვაჭრებს, სესხად მიეცა ფული და დაადგინა თვითონ მოაწყოს როგორც ფოსტის მიმოსვლა, ისე განათლება, აბანო და სხვა სასარგებლო საქმე. კომიტეტი მოიყვანს თუ არა თავის დადგენილებას სისრულეში, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

—

აქ ისე ვთქვათ ოფიციალურად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება არსებობს ოდითგანვე, ომის დაწყებამდე, განყოფილება მუშაობდა, წარმოდგენებს მართავდა, სამკითხველოც გაუხსნათ, მაგრამ დღეს კი არარაობას წარმოადგენს, მისი არსებობა არავინ იცის. კომიტეტმა განიზრახა განყოფილების გაცხოველება, მისი სახელობაზე სამკითხველოს დაარსება. წევრებმა შემოწირულების გარდა საწევრო ფული თითო მანეთიც გამოიღეს. როდესაც ამ საქმის მოსაწყობად ცალკე კრება გაიმართა, რამდენიმე მოსაზრებით კომიტეტის წევრები თავის დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ზოგიერთმა ასე განაცხადა: „ჩვენ არ ვიცოდით, რომ სამკითხველო ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელზე იხსნებოდა, თორემ მხარს არ დაუჭერდით ეროვნულ დაწესებულებას, რომელიც ერთა შორის შუღლს გამოიწვევს და საქმეც ჩაიფუზა. გადაწყვიტეს ცხინვალის საზოგადო უფასო სამკითხველოს გახსნა ამ ზომამდე შეუგნებელია ხალხი ეროვნულად რო სახელის ხსენებაც კი რაღაც შიშს იწვევს.

—

სასურსათო საქმე ძალიან აწეწილ დაწეწილია. საქონელი, სანოვაგე, პურიც კი არ იშოვება მდიდარ ცხინვალში. თუ არის რამე, საზღაპრო ფასი ადევს. ერბო გირვანქა რვა-ცხრა მანეთი ფასობს, ქათამი ოცდა ოთხი მანეთი, ინდოური შვიდი თუმანი; ამას წინად რუსული ჯიშის დიდი ღორი გაიყიდა ას თუმნად და სხვა. სასურსათო კომიტეტი (სარაიონო) შეძლებისა დაგვარად ებრძვის სიძვირეს აწესებს ნიხრს საქონელზე ცდილობს მცხოვრებლები სანოვაგით უზრუნველყოს; საქონლის გაცვლა-გამოცვლა გაჩაღდა სოფლებს, მაგალითად, ხორბალს ფარჩაზე უცვლის. ადგილობრივ ცხინვალის სასურსათო კომისიაც ენერგიულად მუშაობდა, მაგრამ, სამწუხაროთ მექრთამეობა დაამჩნიეს და ყველა კომისიის წევრები კომიტეტმა გადააყენა და თან აუკრძალა რაიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება ამან ხალხზე მეტის მეტი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ხელზე დაიხვიეს ზოგიერთი ცხინვალის ვაჭრებმა და საზოგადოების შეუგნებელმა ნაწილმა და სიტყვით თუ საქმით, ხელს უშლიან სასურსათო კომიტეტის მუშაობას. აგრეთვე ძალიან ამხედრებულნი არიან ცხინვალის მომხმარებელ კოოპერატივის წინააღმდეგ. როცა ნავთი კოოპერატივში თორმეტი კაპიკი და აბაზად იყიდება, კერძო ვაჭრებთან მანეთ ნახევრად და სამ მანეთად იყიდება. ნიხრის დამრღვევისათვის სასურსათო კომიტეტი ართმევს საქონელს კერძო ვაჭრებს და გადასცემს ხოლმე კოოპერატივს. ეს არ მოსწონთ ზოგიერთებს. ოქტომბრის პირველ რიცხვებში მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ თავი მოუყარეს ბრბოს, ჩამოკრეს ზარები. და კოოპერატივის მაღაზიის დარბევა დააპირეს საბედნიეროთ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. პორფილე ეფრემიძის და ადგილობრივ კომისარიატის დროზე მიღებულმა ზომებმა ცხინვალი დიდი სირცხვილი და ზარალისაგან გადაარჩინეს.

—

კავკასიონის უღელტეხილით რკინის გზის გაყვანას აპირობენ. გზის ამა თუ იმ მიმართულებას ცხინვალისთვის ერთნაირი მნიშვნელობა არ ექნება. ცხინვალი ბევრი ხანია რკინის გზაზე ოცნებობს. საზოგადოება მზადაა ყოველგვარი ზომები მიიღოს და თავის წვლილი გამოიღოს. ოღონდ რკინის გზას ეღირსოს. აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია ამაზე მსჯელობა და დაადგინა: ეთხოვოს ბ. ბ. პორფილე ეფრემიძეს, გიორგი გაგლოევს, გიორგი ქურულს და სანდრო მაისურაძეს დაიხმარონ ამ საქმეში ცხინვალის საზოგადოებას, მოაწოდონ რკინის გზაზე ყოველგვარი ცნობები, რომ ცხინვალს შეეძლოს აღძრას ვისთან ჯერ არს დასაბუთებული შუამდგომლობა რკინის გზის გაყვანის დროს ცხინვალის და მისი მდიდარი რაიონის ინტერესების არ დავიწყებაზე.

—

ცხინვალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ცხინვალის ქალაქად გამოცხადება და თვითმართველობის შემოღება განიზრახა. საჭირო ცნობები შეკრიბა და შესაფერი თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა კომისარს აკაკი ჩხენკელს. მაგრამ გადიფიქრა და ერობის შემოღებამდე თავის სურვილზე უარი განაცხადა, რადგან ვერ გაითვალისწინა, რა დამოკიდებულებაში იქნებიან ქალაქის თვითმართველობა და წვრილი საერობო ერთეული ერთმანეთთან, აგრეთვე კომიტეტს ხარჯების შეეშინდა.

—

დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მცხოვრებლები მეტის მეტად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. როგორც ყველგან, აქაც დიდმა უმრავლესობამ ხმა პირველი ნომერს მისცა, ვაჭრებმაც კი. ამომრჩეველი მეტის მეტი უკმაყოფილოდ ბრუნდებოდა, თუ ის საარჩევნო სიაში არ იყო შეტანილი. ერთი ებრაელის ქალი ქვითინით მოსთქვამდა: „რა მეშველება, ქმარი ომში მყავს, ერთი პატარა ბალის მეტი არაფერი მაბადია; სიაში არ ჩამწერეს და რა მეშველება, თუ მიწის დარიგების დროსაც დამივიწყდეთ". ზოგიერთ ამომრჩეველს ფარული კენჭის ყრა არ ეპაზნიკებოდა: „დასამალავი რა მაქვს, მე პირველი ნომერს, მუშათა პარტიას ვეკუთვნი"-ო განაცხადა მ.ნ. ერთმა ისრაელმა განმარტა: „პირველ ნომერს იმიტომ ვაძლევ ხმას, რო წმინდა წიგნებში გვიწერია, სით უმრავლესობა იქნება, იქით სიმართლე მართალ-მორწმუნესათვის სავალდებულოა". შედარებით ცხინვალში, არჩევნები წესიერად მოხდა. საარჩევნო კომისია ამ საქმეს პირნათლად გაუძღვა. ყველა პარტიის წარმომადგენელნი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას თანასწორ უფლებით ღებულობდნენ.

—

16—18 დეკემბერს ცხინვალში სამხრეთ ოსეთის მეორე ყრილობა მოხდა. კავკავიდანაც წარმომადგენლნი დაესწრნენ. რამოდენიმე კაცის გარდა, ყრილობაზე სულ სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ყრილობას აკაკი ჩხენკელისაგან მისალმების დეპეშა მოუვიდა. მოკლე სიტყვით მიესალმა კრებას მოქალაქე რაჟდენი გაგუა და უძღვნა მეზობლური სალამი. ისურვა ოსებს აღორძინება და საკუთარის ძალღონით მეზობელ ერების დემოკრატიასთან ერთად კულტურისაკენ გზის გაკაფვა და განაცხადა: საერთოდ ოსებში შეიძლება სამი მიმართულება, სამი ორიენტაცია არსებობდეს: ქართული, რუსული და მთიელთა ორიენტაცია. ამა თუ იმ ორიენტაციის არჩევის დროს ისეთის ხალხის ხელმძღვანელ დემოკრატიას დიდი სიფრთხილე, საქმის აწონ-დაწონვა და ღრმა ცოდნა მეზობელ ერებისა ესაჭიროება. მოქალაქე გაგუამ მოკლედ დაახასიათა ზემო აღნიშნული ორიენტაციები და მიუთითა ყრილობას, რომ ყველაზე უფრო ბუნებრივი და სასარგებლო ქართული ორიენტაციაა, სამხრეთ ოსებისთვის მაინც, რადგან ქართველთა კულტურა მეზობელ მონათესავე კულტურაა მათთვის.

—

ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი და სხვათა შორის დაადგინა: სამხრეთ ოსეთი შედის ტფილისის გუბერნიის საზღვრებში, ე. ი. საქართველოში, მხოლოდ უნდა შესდგეს ცალკე ოსებით დასახლებული მაზრა რაჭის, შორაპნის, გორის და დუშეთის მაზრების ნაწილებისაგან; ყველა დაწესებულებაში უნდა მოხდეს ახალ მაზრაში ნაციონალიზაცია რამდენადაც ეს შესაძლებელია. სკოლებში, მაგალითად, დაბალ კლასებში ოსურ ენაზე იქნება სწავლა. მაღალ კლასებში კი რუსულად; მოეწყოს ეროვნული პოლკი; უფროსად აირჩიეს ი. ვ. ზასიხოვი.

გ. შაბია.

ველი წინადადება ორ ამხანაგის თაობაზე: მეორე ვერსია ემხრობიან დაშნაკელები და ესერები, სულ 38 კაცი.

კაჩაზნუნი (დაშნ.) აცხადებს, თუ მუსავატი მოისურვებს იყოს უფროსი და უმცროსი ამხანაგი თავმჯდომარისა, ფრაქცია დაშნაკელებისა ამას ხალისიანად მიემხრობა.

რასულ-ზადე (მუს.) ტეხნიკურის თვალსაზრისით საქმისთვის უმჯობესად და მიზან შეწონილად ვსცნობთ უფროს-უმცროსობა დაცული იყოს.

სეიმის აშკარა უმრავლესობა ამას იზიარებს.

თავმჯდომარის ამხანაგებად ასახელებენ ექიმს ჰასან აგაევს (მუსავატ) და ტირაკან ტიგრანიანს (დაშნაკ.)

თარხანოვი (ს.-რ.) აცხადებს, რომ იმის ფრაქცია არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან კონსტრუქციის დროს უსამართლობა იყო დაშვებული.

ტიგრანიანი, რომელსაც დაშნაკ. ფრაქცია თავმჯდომარის ამხანაგად ასახელებს, უარს ამბობს უფროს ამხანაგობაზე.

ამ-რიგად აგაევი უფროს ამხანაგად რჩება ხოლო ტიგრანიანი უმცროსად.

დღის წესრიგი ამოწურულია და სხდომაც სწყდება ორშაბათამდე.

სოხუმის ცხოვრება

მთელი რუსეთისა და ამიერკავკასიის ანარქიის სოხუმიც არ ჩამორჩა. ამ უკანასკნელ თვეებში ძარცვა-გლეჯამ და უწესოებამ უმწვერვალეს ფასობამდე მიაღწია.

ადგილობრივი ქალაქის თვითმართველობა და რევოლიუციონური ორგანიზაციები იძულებული შეიქმნენ არაჩვეულებრივი და უკიდურესი ზომები მიეღოთ. ამ მიზნით შესდგა განსაკუთრებული შტაბი ყველა ორგანიზაციების და პარტიების მონაწილეობით. შტაბმა გამოიწვია მთელი შემადგენლობა წითელი გვარდიისა ახლო-მახლო სოფლებიდან და ადგილობრივი ძალთა დახმარებით თერთმეტ იანვარს ღამის თორმეტ საათზე ალყა შემოარტყა მთელ ქალაქს, გამოაცხადა საალყო წესები და შეუდგა მავნე პირთა დატუსაღებას, სამი დღე და ღამე გაგრძელდა ყაჩაღთა და შანტაჟისტთა ძებნა და დატუსაღება. რიცხვი დატუსაღებულთა 70 კაცამდე ავიდა. ერთი მოთავეთაგანი ყაჩაღებისა ემუხვარი მოკლულ იქმნა დატუსაღების დროს, ხოლო მეორე სულის ჩამდგმელი შანტაჟისტებისა გვარად კილაბერია—დაჭრილი.

შემდეგ ამისა შესდგა სარევოლიუციო ტრიბუნალი—შტაბისა, ქალაქის თავის ჩხიკვიშვილის მეთაურობით და ნაფიც-მსაჯულთა—ამხანაგ პლატონ გელოვანის თავმჯდომარეობით დამნაშავეთა გასამართლებლად. ტრიბუნალმა გაასამართლა ყველანი და ოცამდე დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა 10—20 წლის კატორღა, ზოგს ციხე მიუსაჯეს, ზოგიც სოხუმის ოლქიდან გადაასახლეს და მცირე რიცხვი გამართლებულ იქმნა.

ამის შემდეგ არამც თუ ქალაქმა, არამედ მთელმა ოლქმა მშვიდობიანად ამოისუნთქა. დროებით მაინც შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა.

როგორც იქნა სოხუმის ოლქისათვის ფრიად საჭირო-სამიწადმოქმედო (**земельный комитетъ**) კომიტეტიც შესდგა ოლქისა და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლად არჩეულია ჩვენი ამხანაგი პლატონ გელოვანი, რომელიც არჩეულია აგრეთვე თვით კომიტეტის გამგეობის წევრადაც.

კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას და ვნახოთ თუ რა უნარს გამოიჩენს იგი.

შესდგა აგრეთვე წითელ გვარდიელთა რაზმი რიცხვით ორას კაცამდე ყველა პოლიტიკურ პარტიათა მონაწილეობით. რაზმს განაგებს შტაბი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად ჩვენი ამხანაგი კიწურიშვილი.

დაარსდა როგორც იქნა ქართველ ხელოსანთა კავშირის განყოფილებაც, რომლის თავმჯდომარედ არის ექიმი ორჯონიკიძე, ხოლო წევრებად: კიწურიშვილი, სანაია, კვეტენაძე და სხვ... კავშირი ენერგიულად მოქმედებს, ადგილობრივი საზოგადოებაც სიმპათიურად უცქერის და იმედი გვაქვს მის დანიშნულებას კეთილ-სინიდისიერად შეასრულებს.

სოხუმელი.

წერილი ბაქოდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან *)

სროლა.

ქუჩებში ხშირად თოფისა და რევოლვერების სროლა მოარულ სენად გადაიქცა. ისვრიან ყოვლად უმიზნოდ: ზოგჯერ ჰაერში, ზოგჯერ მიზანში. ამ უთავბოლოდ გასროლილ ტყვიების მსხვერპლი ბევრია ბაქოში. ერთხელ, ამას წინად, სოფ. ჰარმენიკენიდან ორი მეღორეგე მოდენილა, ვიღაც ჯარისკაცს გაუსვრია თოფი, ტყვია მოხვედრია ერთ-ერთ მეღორეგეს და იქვე მოუკლავს. ეს ვაჟბატონები დღისითაც ისვრიან, იციან დაუსჯელად ჩაივლის იმათი საქციელი და ამიტომ ისვრიან! ამას წინად ოცდა-თამდე შეიარაღებული ჯარისკაცი თავს დაესხა მაძებარ მილიციის ბინას; მოჰკლეს ერთი მაძებარ მილიციის აგენტი, აუარებელი ტყვია-წამალი დახარჯეს, შიში მოჰგვარეს მცხოვრებთ, მილიციის ბინა დახვრიტეს და გზას გაუდგნენ! იკითხავთ, რისთვის ჩაიდინეს ეს? მოგახსენებთ. იგივე ჯარისკაცები საძაგლად ქურდობენ, ავაზაკობენ, ცარცვავენ გამვლელ-გამომვლელთ; მილიციის აგენტები აპატიმრებენ მათ და მ. და ჯ. საბჭოში მიჰყავთ; საბჭო-კი, როგორც ბოლშევიკური ორგანო, მცირედის საყვედურით კმაყოფილდება და ავაზაკ ჯარისკაცებს მეორე დღესვე ანთავისუფლებს. აი, ეს განთავისუფლებული ჯარისკაცები შეერთდნენ და მოახდინეს დაცემა.

სროლის შესახებ ათასნაირი ჰორები გავრცელებული. ზოგი მასში პროვოკაციას ხედავს. 1905-ში, ყველამ ვიცით, თუ რა გამოიწვია ბაქოში შეიარაღებამ და სროლამ; ეს იყო სომეხ-თათართა ჟლეტა-ხოცვა. ღმერთმა ნუ ქნას, ამ მოვლენას ეხლაც ექმნეს ადგილი ბაქოში. თუ მაშინ მებრძოლნი ადვილად მოარიგეს, ეხლა ამას ვერ შესძლებენ, რადგან მდგომარეობას ამწვავებს რუსეთის ანარქია და სამოქალაქო ომი, მთავრობის სისუსტე! ისე-კი, შეიძლება ითქვას, თათრებიც და სომხებიც ამ ბოლო დროს ძალიან შეიარაღდნენ; ვერ მოსძებნით იმათ შორის ვერც ერთ კაცს, რომ კარგი სისტემის რევოლვერიც-კი არ გაჩნდეს! მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეროვნულ თვითგამორკვევის და საერთო თვით-შეგნების დროს, როგორც თვით დემოკრატია, აგრეთვე უმთავრესად მათი ბელადები და ხელმძღვანელ-წინამძღოლები გამოიჩენენ გონიერებას და ეცდებიან მთელის თავის არსებით ამ ორ ეროვნებათა შორის შუღლსა და ქიშპობას ადგილი არ ექნეს!

რაც შეეხება ქუჩებში წარა-მარა სროლას, ესეც ისევე, როგორც ტფილისში მიღებულია ზომები დამნაშავენი დააპატიმრონ და სამი თვით ციხეში ჩასვან!

შაუმიანი.

ცნობილმა ბოლშევიკმა შაუმიანმა, რა რომ ტფილისში ვერას გახდა და ძალა-უფლება სახალხო კომისრების მთავრობას ამიერკავკასიაში ვერ მოუპოვა, თვისი მოღვაწეობის სარბიელი ისევ ბაქოში გადმოიტანა. მან 3 იანვარს ტეხნიკური სკოლის დარბაზში წაიკითხა ლექცია შემდეგი სათაურით: „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალა-უფლებას!? კონტრ-რევოლიუციონერები, ბურჟუები, მემამულეების აგენტები, ცრუ-სოციალისტები, მენშევიკები, აი ვინ შეადგენენ დღეს ამიერკავკასიის მთავრობას; ისინი დემოკრატიის გამყიდველები არიან. იმათ ნუ დაუჯერებთ, ნუ აჰყვებით! ძირს ისინი, გაუმარჯოს სახალხო კომისრების მთავრობას, რომელიც არის ნამდვილი გამომხატველი დემოკრატიის მოთხოვნილების, მისი სურვილისამებრ! აი, გარშემო ტრიალებდა მთელი ლექცია! შაუმიანი თავს იმართლებდა, ტფილისის ამბებში უსამართლოდ გამხვიეს; ჩემს სახალხო კომისრებისადმი გაგზავნილ დეპეშას არ გამოუწვევია ტფილისის არეულობა; ეგენი რითაც-კი შეეძლო ყველა რიგის უცბიერ მოღვაწეთ, ხოლო განსაკუთრებით-კი ქართველ მენშევიკებს, რომელთაც შოვინისტებს უწოდებდა. შესაფერისი პასუხი გასცეს მას მენშევიკმა [illegible] და კადეტმა [illegible], მაგრამ, რადგანაც უმეტესობა აუდიტორიისა შესდგებოდა ბოლშევიკებისაგან, შაუმიანს ოვაცია გაუმართეს და ტაშის-ცემით დააჯილდოვეს.

აქაურმა ბოლშევიკების ორგანომ, რომელსაც შაუმიანის ორგანოს უძახიან, პარისაკევის, 12 იანვრის, ნომერში მოათავსა ჩვეულებრივი პროვოკაციული ხასიათის წერილი. ამ ორგანოს ხელმძღვანელები და მთავარი თანამშრომლები სომხის ბოლშევიკები არიან! წერილში აბეზღებენ თათრებს და ქართველებს რუსის—ჯარისკაცებთან: „კომისარიატიდან სომხის ჯარსაც მიეცა წინადადება მონაწილეობა მიიღოს რუსის ჯარისკაცების განიარაღებაში, რომელმაც გამოიწვია სისხლის ღვრა შამქორ-დოლიარის შუა, მაგრამ განაცხადეს: „ჩვენ იმათთან (რუსის ჯარის-კაცებთან) ერთად ვიბრძოდით სანგრებში, ისინი ჩვენი ძმები არიან, ჩვენი ამხანაგები, იმათ წინააღმდეგ ჩვენ ვერ წავალთ!" არ ვიცით შამქორ-დოლიარის ინციდენტი ვინ გამოიწვია კომისარიატმა, თუ კერძო პიროვნებათა ჯიუტობამ, ამას სხვები უფრო გამოიკვლევენ და განიხილავენ. ამ შემთხვევაში ჩვენ აღგვაშფოთა წერილის პროვოკაციულმა ხასიათმა. განა ქართველი ჯარის-კაცები სომხის ჯარისკაცებზე ნაკლებად იბრძოდნენ?! ისინიც ხომ სანგრებში ისხდნენ; თუ რუსის ჯარის-კაცებთან არ იბრძოდნენ, ვისთან? განა გერმანელებთან! კმარა პროვოკაცია! ჯერ ქართველი ერი პროვოკაციის ქსელში არ გაბმულა, იმდენად ფხიზელია იგი და ვერც შაუმიანის ორგანოს პროვოკაციულ ხრიკებს შეუძლიან ქართველი ერის სწორი და სამართლიანი გზიდან გადაგდება! საგულისხმიეროა ის მოვლენა, რომ სომხის **ბოლშევიკები** ეროვნულ საკითხში იგივე **დაშნაკელები** ყოფილან, იმ განსხვავებით, რომ დაშნაკელები აშკარათ აღიარებენ თავიანთ მრწამს ხოლო ბოლშევიკები კი მალულად! შოვინისტობით სომეხი ბოლშევიკები უფრო ყოფილან, ვინემ ქართველი მენშევიკები! ასე რომ შაუმიანის თეორია მარცხდება თვით შაუმიანის მიერვე!

ქრ. ვერმიშევს გაზეთმა „ბაქომ" მეორე დღესვე გადაბეჭდა ხსენებული წერილი თავის გაზეთში, ყოვლად უკომენტაროდ. ეტყობათ ვერმიშევს და მის ადეპტს „ბაქოს" რედაქტორს ხ. გრ. სტარეცევს, ძლიერ მოსწონებიათ ბოლშევიკების პროვოკაცია და ორივე ხელებით მხარი დაუჭირეს! ბრავო! ქრ. ვერმიშევის კაცი-ჭამიურ შოვინისტობაში ეჭვი მაინც არ გვეპარებოდა!

სახსრის ძებნაში!

როგორც წინად გწერდით, წ.-კ. გ. საზ. ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა ორმოც ათასამდე ივარაუდა. ფული უნდა შეგროვილიყო, სხვა წლების მზგავსად, ქართულ საღამოდან მაგრამ რადგან მრავალ მიზეზისა გამო, სხვები წელს არ მართავენ საღამოებს, გამგეობამაც უარყო წელს საღამოს გამართვა და უკვე შეადგინა ადგილობრივ მდიდრების მიერ ფულის შემკრები კომისია, რომელმაც აქაური შეძლებული ქართველები უკვე დაბეგრა ზოგი ასით, ზოგი ორასით, ზოგი ათასით და მეტითაც; ა. ხოშტარია სამი ათასით დაიბეგრა. ამ გვარად სულ შეგროვდება ოცი ათასამდე და ესეც კარგია; ქართულ სკოლის ნახევარი წლის უზრუნველყოფა მაინც ექნება! იმედი უნდა ვიქონიოთ წვლილის გამოღებაში უარს არავინ იტყვის და დანარჩენ ოც ათასსაც რაიმე გვარ წყაროდან გამოსძებნის კომისია.

პარტიაში.

თავზარი დაგვცა ბაქოელ ამხანაგებს ჩვენი პარტიის მესვეურის [illegible] გარდაცვალებამ. ჭეშმარიტად, იგი მხოლოდ გარდაიცვალა, თორემ მისი ხსოვნა ჩვენს გულში უკვდავი იქნება! 22 დეკემბრის ხვლამზე კომიტეტმა ფეხზე ადგომით 3 წუთი სცა მიცვალებულის ხსოვნას და, რადგან რკინის გზებზე გამეფებულ არეულობათა გამო [illegible] დაადგინა: გაეგზავნოს მთავარ კომიტეტს სამძიმრის დეპეშა და დეპეშით [illegible] ტფილისში, თუ-კი მოესწრება. ამხ. ივ. [illegible] დაესწროს ბაქოს კომიტეტის სახელით დაკრძალვას. ამავე კრებაზე კომიტეტმა დაადგინა: გაიმართოს ხსოვნის აღსანიშნავად. 21, ან 28 იანვარს ქართულ სკოლის შენობაში, სამოქალაქო პანაშვიდი; ამ დღისთვის თუ მოხერხდა, მოწვეულ იქნეს ტფილისიდან, ერთ ერთ პარტიულ ორატორთაგანი და ადგილობრივ ამხანაგებში სიტყვების წარმოთქმა დაევალათ: ი. ბგლაძეს, სვ. კვიტაშვილს, პ. ქარუმიძეს, ვ. სიფრაშვილს, ლადო ახობაძეს, მეთოდე კაკაბაძეს და ლადო გეგეჭკორს.

ორი კვირა გადის ტფილისიდან არც გაზეთები მოგვდის და არც წერილები რკინის გზაზე გამეფებულ არეულობათა გამო ამიტომ სულიერ შიმშილს განვიცდით, რადგან არ ვიცით რა ხდება სამშობლოში ამ არევ-დარევისა და ანარქიის დროს. ისიც არ ვიცით, სანამდი გასტანს ასეთი მდგომარეობა,

ლახვანიძე.

ბათუმიდან სუფსამდე

(ყურ მოკრული ამბები)

აუარებელი ხალხით დატვირთული—თუ დაკიდებული მატარებელი დაიძრა. მატარებელში შემოდის ფოსტის მოხელე, რომელიც აღმოჩნდა ამ დღეებში დაკეტილი ფოსტის განყოფილების უფროსი ზემო აჭარის სოფ. ხულოსი. იგი გვიამბობს აჭარლების აწინდელ განწყობილებაზედ: „აჭარლებს ყოველ დღე იქ კრებები აქვთ, რაღაცას ჩოჩქოლობენ, იარაღს იძენენ და სხვა... აღსანიშნავია—დასძენს მოამბე,—რომ იმ კრებებს ყოველთვის ხელმძღვანელობენ იქაური ბეგები ხ—ები და დიდი გავლენაც აქვთ მათ ხალხზედ".

ქობულეთში შემოგვიერთდა ქართველი მაჰმადიანი—იგი ლაპარაკში ერევა და ამბობს: „თუ ეროვნული ტერიტორიალური გამიჯვნა აღიარებულია—მაშინ ჩვენ სინორჩეზედ (ბიჟნაა) გადის რკინის გზა და თუ კი ჩვენ მოვინდომებთ რკინის გზას ავყრით და მატარებელს აღარ გაუშვებთ, თქვენ იარაღს ისხამთ ჩვენ კი გვიშლითქო და სხვა...

ამას უპასუხებს ერთ კუთხეში მიკუნჭული სუფსელი გურული: „ჩვენ ძმური განწყობილობა გვქონდა ჩვენ მოძმე ქართველ მაჰმადიანებთან და დღესაც არ გამოვარჩევთ ჩვენებს თქვენებისაგან, რადგან ერთი ენა გვაქვს—ერთი ზნე და ერთი ჩვეულობა, ერთი სისხლი—ჩვენ იარაღს ვისხამთ არა თქვენს წინააღმდეგ—არამედ ოსმალეთის იმპერიალისტების მოტრფიალეთა და სხვის ჩასაყლაპავათ მადაგაღვიძებულ ელემენტებისათვის და თუ თქვენ მათ მხარს დაუჭერთ როგორც ერთმორწმუნე ხალხს, ჩვენ ძმობას ფეხქვეშ გასთელავთ, თავისუფლებას ულალატებთ...

თუ ვინმემ ჩვენი დაჩაგვრა მოინდომა, ცოლით, შვილით—ბალანებით შევიარაღდებით—თუ იარაღი არ გვეყო, კეტებს ავიღებთ, ნაჯახს, თოხს და ბაკვეთებით მოძალადეებს და ავღგვით დედამიწის პირისაგან" — დაამთავრა თვალებში ცეცხლმოკიდებულმა გურულმა და მატარებელიც გაჩერდა სად. სუფსაში...

აქ ბოლშევიკ-მენშევიკთა ჯგუფი ერთი მეორეს ცხარეთ ეკამათებოდა დღევანდელ „მობილიზაციის" შესახებ. „მე ჩემი ვალი მოვიხადე, ჩემი სურვილით ვიყავი ომში და დაჭრილიცა ვარ, ახლა აღარა მწადია წასვლა"—გაიძახის ბოლშევიკი.—„შენ შენი სურვილით-კი არ წახვედი ომში—არამედ ნიკოლოზ მეორის მათრახმა გაგაგდო ბრძოლის ველზედ"—უპასუხებს მოხუცებული მენშევიკი.

„საქმე ის არის, დღეს ყველანი წავალთ ჩვენი სურვილით—დღეს, ყველანი მოვალენი ვართ შევიარაღდეთ, დავიცვათ ჩვენი ოჯახი, ჩვენი კერა და თავისუფლება,—მე პირველი ავიღებ თოფს ხელში და აბა თუ ბიჭია, ვინმე ნუ გამომყვება—პირველი მასა ვკრავ ტყვიას გულში!.." საბედნიეროდ აქ ცოტანი აღმოჩნდნენ ბოლშევიკები—დანარჩენები კი [illegible] აცხადებდნენ ომში წასვლის სურვილს!..

გრ. ინახარიძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
[illegible] მთავარი კომიტეტისა

---

*) წერილი მიღებულია დაგვიანებით. რედ.

ექიმი
ნ. ვ. მრევლიშვილი
[illegible] ნამყოფი კიევის ქალაქის საავადმყოფოს და [illegible] ქალაქის საავადმყოფოს იღებს სადედო საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ვორონცოვის ქ. № 6.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, და პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო ორგანოს სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით 5 1/2—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1 1/2—3 1/2 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

საბუღალტრო
კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და ხიხვლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელიზაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. [illegible]
შინაგან [illegible] ჰელიკის და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო ხინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლლიუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11 1/2 ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული ([illegible] ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9 1/2—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1061

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი [illegible] 1036

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, კანების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ. დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციის.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14.